ს ა რ ჩ ე ვ ი:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის 27 თებერვლის სხდომის დღის წესრიგი.

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის 27 თებერვლის სხდომის ოქმი N2.

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, შპს ,,ვესტ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ასფალტის ქარხნის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 13 თებერვლის N24-242344189 წერილი.

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზვ. გამსახურდიას გამზ. N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილის 2.0 კვ.მ (2 ერთეული ნაკვეთი; თითოეული 1.0 კვ.მ) ფ/პ თ.ა-სთვის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 2 თებერვლის N24-242303398 წერილი.

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 3 (სამი) ცალი გარე განათების ბოძის ნაწილის (წერტილი) სს „სილქნეტი" სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 2 თებერვლის N24-242303399 წერილი.

6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით ააიპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობასათვის" გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 22 თებერვლის N24-2423053104 წერილი.

7. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 787,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 22 თებერვლის N24-2423053103 წერილი.

8. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტის" ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალება-,,BOGDAN"-ის მარკის ავტობუსის ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის" თანხმობის მიცემის თაობაზე-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 22 თებერვლის N24-2423053143 წერილი.

9. ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების დასაზუსტებელი სახელწოდებების შესახებ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 26 დეკემბრის N24-2422360157 წერილი.

10. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცება-კომისიის მიერ მომზადებული გეგმა.

11. **დასკვნა N1-**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, შპს ,,ვესტ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ასფალტის ქარხნის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ.

12. **დასკვნა N2-**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზვ. გამსახურდიას გამზ. N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილის 2.0 კვ.მ (2 ერთეული ნაკვეთი; თითოეული 1.0 კვ.მ) ფ/პ თ.ა.- სთვის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

13. **დასკვნა N3**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 3 (სამი) ცალი გარე განათების ბოძის ნაწილის (წერტილი) სს „სილქნეტი" სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

14. **დასკვნა N4**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით ააიპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობასათვის" გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

15. **დასკვნა N6-**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 787,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

16. **დასკვნა N8**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტის" ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალება-,,BOGDAN"-ის მარკის ავტობუსის ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის" თანხმობის მიცემის თაობაზე.

ქ. ზუგდიდი 27 თებერვალი 2023 წელი
12:00 სთ

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, შპს ,,ვესტ ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ასფალტის ქარხნის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზვ. გამსახურდიას გამზ. N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილის 2.0 კვ.მ (2 ერთეული ნაკვეთი; თითოეული 1.0 კვ.მ) ფ/პ თ.ა-სათვის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 3 (სამი) ცალი გარე განათების ბოძის ნაწილის (წერტილი) სს „სილქნეტი“ სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით ააიპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობასათვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 787,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტის" ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალება-,,BOGDAN"-ის მარკის ავტობუსის ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის" თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

7. ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების დასაზუსტებელი სახელწოდებების შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

8. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცება.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

9. სხვადასხვა საკითხები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N2

ქ.ზუგდიდი **27 თებერვალი 2022 წელი**
12:00 სთ

2023 წლის 27 თებერვალს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა.
სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, ირაკლი გოგოხია, კახაბერ ჩანგელია, ოთარ ქადარია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გიგა ფარულავა, თაზო ფაცაცია, თამუნა ჯიქია, ჯონი ჯიქია.

სხდომას ასევე ესწრებოდა: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი; ----------ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი; ----------არქიტექტორი; ----------ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ----------.

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 12 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.
კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, შპს ,,ვესტ ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ასფალტის ქარხნის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზვ. გამსახურდიას გამზ. N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილის 2.0 კვ.მ (2 ერთეული ნაკვეთი; თითოეული 1.0 კვ.მ) ფ/პ თ.ა.-სათვის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 3 (სამი) ცალი გარე განათების ბოძის ნაწილის (წერტილი) სს „სილქნეტი“ სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის

თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით ააიპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობასათვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 787,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტის" ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალება-,,BOGDAN"-ის მარკის ავტობუსის ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის" თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

7. ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების დასაზუსტებელი სახელწოდებების შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

8. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცება.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

9. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 13 თებერვალს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242344189 მომართვა (რეგისტრაციის N12-252304414-25 13.02.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, შპს ,,ვესტ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ასფალტის ქარხნის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობის გეგმების შემუშავების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების 16-ე მუხლის მე-1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, აგრეთვე შპს ,,ვესტ ჯორჯია"-ს (ს/ნ: 419982727) დირექტორის დავით სიჭინავას (პ/ნ 19001014032) მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის წერილის საფუძველზე, დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, შპს ,,ვესტ ჯორჯია"-ს (ს/ნ: 419982727) საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №43.11.42.182; 3000.00კვ.მეტრი) ასფალტის ქარხნის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია თანდართული დანართის შესაბამისად; და დაევალოს შპს ,,ვესტ ჯორჯია"-ს (ს/ნ: 419982727) დირექტორის დავით სიჭინავას (პ/ნ 19001014032) განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტის შემუშავება დამტკიცებული კონცეფციის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსმა **აღნიშნა:** „მოგეხსენებათ, რომ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში შპს ,,ვესტ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ასფალტის ქარხნის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირებისა და დავალების გაცემის თაობაზე წარმოდგენილი გვაქვს შემდგომი ეტაპი-განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია."

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუამ აღნიშნა: „ბატონო -------, აღნიშნული საკითხი შემოსულია კანონდარღვევით, რომელსაც მოწმობს „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობის გეგმების შემუშავების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების 16-ე მუხლის მე-1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი, რომელიც გულისხმობს „სივრცის დაგეგმარებისა და გენერალური გეგმის კონცეფციის განხილვა და დამტკიცებას არაუმეტეს 90 სამუშაო დღისა, ხოლო განაშენიანების დეტალური გეგმა კონცეფციის განხილვა და დამტკიცება არაუმეტეს 40 სამუშაო დღისა, რადგან მუნიციპალიტეტის მერიამ აღნიშნულზე განცხადება შემოიტანა 2022 წლის 9 დეკემბერს, აღნიშნული კანონის შესაბამისად ადგილი აქვს ვადა გადაცილებას. მაინტერესებს აღნიშნულთან დაკავშირებით აქვს თუ არა ინფორმაცია კომისიის თავმჯდომარეს და ვინ არის პასუხისმგებელი ამ კანონდარღვევაზე."

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსმა **განმარტა:** „ამ საკითხთან დაკავშირებით შესაბამის უწყებაში გადაგზავნილი იყო დოკუმენტაცია, საიდანაც

მიღებულიქნა პასუხი, რის შემდეგ მოხდა აღნიშნულზე განცხადების გადმოგზავნა საკრებულოში, შესაბამისად ჩვენი მხრიდან კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია.“

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს აპარატის უფროსმა **აღნიშნა:** „მერიამ შემოიტანა 13 თებერვალს ანუ ზუსტად 40 დღის ვადაში, ხოლო კომისიის სხდომა ბუნებრივია განცხადების მიღების შემდეგ დაინიშნა.“

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუამ აღნიშნა: „კანონის მიხედვით აღნიშნული საკითხი 40 დღის ვადაში უნდა განხილულიყო.“

აზრი გამოთქვეს: კახაბერ ჩანგელიამ აღნიშნა: „ვფიქრობ, რომ აქედან გამოსავალი უნდა მოვძებნოთ და ასევე გავცეთ რეკომენდაცია დღევანდელი შენიშვნა გათვალისწინებულ იქნას, რომ არ გვქონდეს მსგავსი შემთხვევები.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ბატონო დავით, გავიგეთ რომ კანონდარღვევა არის ვადებში, შესაბამისად საკრებულოს აპარატის, იურიდიული განყოფილების უფროსმა ქალბატონ ნინო დაგარგულიამ, აგვიხსნას სამართლებრივად, როგორ შეიძლება მოიძებნოს გამოსავალი.“

აზრი გამოთქვეს: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსმა **განმარტა:** „როგორც აღვნიშნე, დოკუმენტი გადაგზავნილიქნა შესაბამის უწყებაში (გზების დეპარტამენტში) შესათანხმებლად, საიდანაც მიღებულიქნა პასუხი, რის შემდეგ მოხდა აღნიშნული დოკუმენტის გადმოგზავნა მუნიციპალიტეტის მერიიდან საკრებულოში.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს აპარატის უფროსმა **აღნიშნა:** „მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერ საკითხს სჭირდება ადმინისტრაციული წარმოება. იცით, რომ აღნიშნული საკითხი გადაგზავნილ იქნა გზების დეპარტამენტში, საიდანაც მიღებული პასუხის შემდეგ გადმოიგზავნა ჩვენთან საკრებულოში, ხოლო დამეთანხმებით, რომ ბატონი კობა მორგოშია გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებს ვერ მიუთითებდა, რა ვადებში უნდა გადმოეგზავნათ პასუხი.“

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსმა **განმარტა:** „კანონში წერია, რომ თუ ადმინისტრაციული ორგანო არ ეტევა განსაზღვრულ ვადებში, მაშინ სამი თვით უნდა გაუგრძელდეს ვადა. თუ არ არის აუცილებელი ვადის გაგრძელება საკითხის განსახილველად, კანონი არ გვეუბნება, რომ საკრებულომ არ განიხილოს წარმოდგენილი საკითხი და არ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.“

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუამ აღნიშნა: „გასაგებია ქალბატონო ნინო, მაგრამ როდესაც მუნიციპალიტეტის მერიაში ვადაში წარმოდგენილი არის დოკუმენტაცია სრულად, კანონის თანახმად საკრებულოს უნდა განეხილა 40 დღის ვადაში შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად, რაც არ მოხდა, რადგან მერიამ აღნიშნული საკითხი გადმოაგზავნა დაგვიანებით ამაზეა საუბარი.“

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „აღსანიშნავია ის, რომ დავით ვეკუამ ვადებში კანონდარღვევაზე გაამახვილა ყურადღება, მაგრამ ამაზე დავას ჯობია, საკითხი განვიხილოთ და მოვძებნოთ გამოსავალი.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „მოგეხსენებათ, რომ მერიამ აღნიშნული საკითხი შესათანხმებლად გადააგზავნა საგზაო დეპარტამენტში და თანხმობის მიღების შემდეგ გამოგზავნილიქნა საკრებულოში. რადგან საგზაო დეპარტამენტიდან პასუხი მიიღეს დაგვიანებით, სწორედ ამან გამოიწვია ვადებში უზუსტობა. რადგან ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ მოვძებნოთ გამოსავალი საკითხის განსახილველად დავაყენებ კენჭისყრაზე.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, შპს ,,ვესტ ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ასფალტის ქარხნის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეორე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 2 თებერვალს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია N24-242303398 (რეგისტრაციის N12-25230334-25 2.02.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზვ. გამსახურდიას გამზ. N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილის 2.0 კვ.მ (2 ერთეული ნაკვეთი; თითოეული 1.0 კვ.მ) ფ/პ თ.ა.-სათვის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, რომ „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმის N21 (13.12.2022წ) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდში ზვ. გამსახურდიას გამზირი N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილი 2.0 კვ.მ (2 ერთეული ნაკვეთი; თითოეული 1.0 კვ.მ) გადაეცეს ფ/პ თენგიზ ახალაიას სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით 2 (ორი) წლის ვადით. 1.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს 360 (სამას სამოცი) ლარით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ზვ. გამსახურდიას გამზ. N23-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილის 2.0 კვ.მ (2 ერთეული ნაკვეთი; თითოეული 1.0 კვ.მ) ფ/პ თ.ა.-სათვის სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მესამე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 2 თებერვალს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242303399 მომართვა (რეგისტრაციის N12-25230338-25 2.02.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 3 (სამი) ცალი გარე განათების ბოძის ნაწილის (წერტილი) სს „სილქნეტი" სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმის N1 (20.01.2023წ) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქ.ზუგდიდი რუსთაველის ქ. N23) 1 (ერთი) და (სოფ.ჭითაწყარში მდებარე) 2(ორი) ერთეული გარე განათების ბოძის ნაწილის (წერტილი) სს „სილქნეტისთვის" სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით 2 წლის ვადით გაცემაზე. 1 ერთეული გარე განათების კონსტრუქციების ნაწილის/წერტილის გამოყენების წლიური საფასური განისაზღვროს 4 (ოთხი) ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, ხომ არა აქვთ რაიმე შენიშვნა ან წინადადება.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 3 (სამი) ცალი გარე განათების ბოძის ნაწილის (წერტილი) სს „სილქნეტი" სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე" ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეოთხე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 22 თებერვალს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423053104 მომართვა

(რეგისტრაციის N12-25230537-25 22.02.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით ააიპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობასათვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა ახალაბასთუმნის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის შუამდგომლობა (თანდართული ააიპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობის“ წერილით), რომელშიც ითხოვენ სოფ. ახალაბასთუმანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობანაგებობაში არსებულ 29,61 კვ.მ ფართს ახალგაზრდული სივრცის მოწყობის მიზნით „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობისათვის“ გადასაცემად. გადაცემული ფართის რეაბილიტაცია უზრუნველყოფილი იქნება ააიპ „იძულებით აღნიშნულ საკითხზე და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში სოფ. ახალაბასთუმანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 29,61 კვ.მ ფართი 2 (ორი) წლის ვადით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ააიპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობას“. აქედან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 242246 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის, მე-2 და მე-4 ქვეპუნქტების შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფელ ახალაბასთუმანში მდებარე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობაში განთავსებული არასაცხოვრებელი ფართი (29.61 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადასცეს ააიპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობას“ იმ პირობით, რომ გადაცემული ფართის რეაბილიტაცია უზრუნველყოფილი იქნება ააიპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობას“ ხარჯებით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, ხომ არა აქვთ რაიმე შენიშვნა ან წინადადება.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით ააიპ „იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია თანხმობასათვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა

წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეხუთე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 22 თებერვალს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423053103 მომართვა (რეგისტრაციის N12-25230538-25 22.02.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 787,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულია განცხადება, სადაც საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 108-ე მუხლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის გამზირზე მცხოვრები მოქალაქეების 2023 წლის 26 იანვრის ერთობლივი განცხადების, საქართველოს საპატრიარქო ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქიის 2023 წლის 24 იანვრის N2 წერილის შესაბამისად, ითხოვენ გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში საქართველოს საპატრიარქოსათვის საკუთრებაში გადასაცემად სამლოცველოს აშენების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდში აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 787,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „მოგეხსენებათ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე არის აშენებული ეკლესია და დამატებით, სამლოცველოს აშენების მიზნით მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის გადაცემაზე ნუ საუბრობთ, რადგან თუ გინდათ, რომ ზუგდიდი მთლიანად გადასცეთ მეუფე გერასიმეს, მაშინ პირდაპირ გვითხარით, რომ ეს გერასიმეს უნდა ვაჩუქოთ.“

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუამ აღნიშნა: „ქალბატონო მაია, პროცედურულად ქ.ზუგდიდი აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 787,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ჩვენ უნდა გადავცეთ სახელმწიფოს და შემდეგ გადაეცემა ეკლესიას.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „მე არ ვიცი ვინ ვის და რას გადასცემს, მაგრამ ვთვლი, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქონება არ უნდა გადავცეთ სახელმწიფოს.“

აზრი გამოთქვეს: დარეჯან გაბედავამ აღნიშნა: „ვეთანხმები კოლეგას მოსაზრებას, მარტო ის შემიძლია გითხრათ, რომ ამ კაცმა ძალიან შეგვაძულა თავი და წარმოდგენილ საკითხს ჩემი მხრიდან მხარდაჭერა არ ექნება.“

აზრი გამოთქვეს: ოთარ ქადარიამ აღნიშნა: „ამ ეტაპზე არის საფრთხე, რომ ეს მიწის ნაკვეთი ათვისებულ იქნეს სასაფლაოებისთვის და თუ არ აშენდა სამლოცველო ამ ადგილსაც მთლიანად სასაფლაოები მოიცავს, რომელიც სპორტის სასახლის კიდემდე მოვა.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „ბატონო ოთარ გეთანხმებით, მაგრამ ვთვლი, რომ ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად შესაძლებელია ტერიტორიის განაშენიანება, რომ მოვაწყოთ რეკრეაციული ზონა.“

აზრი გამოთქვეს: ოთარ ქადარიამ აღნიშნა: „აღნიშნული ტერიტორია მოქცეულია სასაფლაოების შიგნით და სარეკრეაციოდ მოცულობიდან გამომდინარე არ გამოდგება.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „გეთანხმებით იმაში, რომ ტერიტორია, რომელზედაც საუბარია არ უნდა მოიცვას სასაფლაომ, მაგრამ მოგახსენებთ, რომ ეს მიწა ჩემი

მერობის პერიოდში წამოვიღე ეკონომიკის სამინისტროდან და დავუბრუნე მუნიციპალიტეტს საკუთრებაში, შესაბამისად არსებული საფრთხე ისე უნდა ავიცილოთ, რომ არანაირად არ უნდა გადავცეთ ისევ სახელმწიფოს.“

აზრი გამოთქვეს: დავით ვეკუამ აღნიშნა: „ჩემს რეკომენდაციას თუ გაითვალისწინებთ აღნიშნული საკითხი უნდა გადავდოთ.“

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ყველანი ვთანხმდებით იმაზე, რომ არსებობს საფრთხე ტერიტორიაზე გარკვეული პერიოდის მერე საფლავები იქნება და ასევე არ გვინდა აღნიშნული მიწის ნაკვეთი გადავცეთ სახელმწიფოს საკუთრებაში, გამომდინარე აქედან გადავდოთ საკითხი, გავიდეთ ადგილზე, შევისწავლოთ ყველა დეტალი და შემდეგ გავიტანოთ კომისიის სხდომაზე განსახილველად.“

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 12

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: საკითხი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ზუგდიდი აღმაშენებლის გამზირზე მდებარე 787,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის თაობაზე“ გადადებულიქნას კომისიის მომდევნო სხდომამდე მისი დეტალურად შესწავლის მიზნით (ადგილზე გასვლა).

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეექვსე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 22 თებერვალს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423053143 მომართვა (რეგისტრაციის N12-252305310-25 22.02.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტის” ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალება-,,BOGDAN“-ის მარკის ავტობუსის ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის“ თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106[1] მუხლის მე-10 პუნქტის, ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 07 დეკემბრის N94 დადგენილების მე-2 მუხლის, მე-7 მუხლის პირველი და მე-4 პუნქტის, შპს აუდიტორული ფირმა ,,ლაზიკა აუდიტის“ 2023 წლის 7 თებერვლის N23/037 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 22 თებერვლის N24-242305314 წერილის საფუძველზე მიეცეს თანხმობა შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალურ ტრანსპორტს”, მის ბალანსზე რიცხული მოძრავი ქონების-სატრანსპორტო საშუალება-,,BOGDAN“-ის მარკის ავტობუსის (საიდენტიფიკაციო ნომერი: Y7BA092017B001958; რეგისტრაციის ნომერი: HH-467-HN; მოდელი A 09201; გამოშვების წელი-2007 წელი) ელექტრონული აუქციონის წესით

პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობა განისაზღვროს 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილით დაფუძნებული შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტის" ბალანსზე რიცხული სატრანსპორტო საშუალება-,,BOGDAN"-ის მარკის ავტობუსის ელექტრონული აუქციონის წესით პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ შპს ,,ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტისთვის" თანხმობის მიცემის თაობაზე" ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეშვიდე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2022 წლის 26 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2422360157 მომართვა (რეგისტრაციის N12-25223605-25 26.12.2022 წ), რომელიც შეეხება ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების სახელწოდებების დაზუსტებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ მომართვას თან ერთვის სსიპ „საჯარო რეესტრის სააგენტოს" წერილი, რომელითაც წარმოდგენილია სხვადასხვა წლებში ზუგდიდის საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულებების საფუძველზე, საჯარო რეესტრის სამისამართო რეესტრში რეგისტრირებული, ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების (დანართი N1 თან ერთვის) სია, ამავე წერილში აღნიშნულია მოთხოვნა, რევაზ ლაღიძის ჩიხების რომაული ციფრებით სახელდებაზე და შესაბამისი განკარგულების გამოცემაზე. აგრეთვე, ცალკე N2 დანართით (თან ერთვის) წარმოდგენილია, ქალაქ ზუგდიდის იმ ქუჩების (40 ქუჩა) სია, რომლებსაც სხვადასხვა წლებში გამოცემული განკარგულებებით დაუზუსტებელია სრული სახელწოდებები.

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული ქუჩების სახელწოდებები მერიის შესაბამისმა სამსახურმა დააზუსტოს, გადმოაგზავნოს საკრებულოში და მერე მოხდეს მისი დამტკიცება კანონის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: საკითხი „ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების დასაზუსტებელი სახელწოდებების შესახებ“ გადაიგზავნოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიაში ქუჩების სახელწოდებების დაზუსტების მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მერვე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია, რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, რომ წარმოდგენილ გეგმაში 2022 წლის გეგმასთან შედარებით გარკვეული მცირედი ცვლილებებია შეტანილი. საკითხი შესწავლის და შენიშვნების წარმოდგენის მიზნით გადაგზავნილი იყო კომისიის წევრებისთვის (კომისიის გეგმა ოქმს თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 12
წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცება“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია